საქართველო

14986-01-2-202605081244

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/14986
08/05/2026

საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციის უფროსს
ბატონ **ლევან ჟორჟოლიანს**

ბატონო **ლევან,**

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის მიზნით, გიგზავნით „დიზაინის სამართლის შესახებ" რიადის ხელშეკრულებისა და „დიზაინის სამართლის შესახებ" რიადის ხელშეკრულების რეგულაციების ინგლისურენოვანი ტექსტისა და ოფიციალურად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის ასლებს, შესაბამისი უწყებების დასკვნებს, შეთანხმების ფურცელსა და განმარტებით ბარათს.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და ხელშეკრულების 29-ე მუხლის მე-2 (ii) პუნქტის თანახმად, წარმოდგენილი ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარება უნდა მოხდეს საქართველოს პარლამენტის მიერ შეერთების გზით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებისა და რეგულაციების პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, პარლამენტის საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნოს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი ვახტანგ ბაჩიაშვილი.

დანართი:
- ხელშეკრულებისა და რეგულაციების ინგლისურენოვანი ტექსტები და ოფიციალურად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი;
- განმარტებითი ბარათი;
- უწყებების დასკვნები;
- შეთანხმების ფურცელი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი.

(ჯამი: 102 გვერდი).

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
№ 14893
8 05 2026
103 ფურცელი

0108 თბილისი, სულხან-საბას ქუჩა №1/გიორგი ლეონიძის ქუჩა №3-5; საქართველო. ტელ: (+99532) 294 50 00
ელფოსტა: : mfageo@mfa.gov.ge; www.mfa.gov.ge

პატივისცემით,
გიორგი ზურაბაშვილი

მინისტრის მოადგილე - მმ.

საქართველო

12123-01-2-202604201302

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/12123
20/04/2026

დასკვნა
„დიზაინის სამართლის შესახებ" რიადის ხელშეკრულებისა და „დიზაინის სამართლის შესახებ" რიადის ხელშეკრულების რეგულაციების თაობაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა „დიზაინის სამართლის შესახებ" რიადის ხელშეკრულებისა და „დიზაინის სამართლის შესახებ" რიადის ხელშეკრულების რეგულაციები და მათ მიმართ აქვს შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს დეკლარაციის გაკეთების შესაძლებლობას. სასურველია, კომპეტენტურმა უწყებამ განიხილოს ხსენებული დეკლარაციის გაკეთების მიზანშეწონილობა და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, წარმოადგინოს შესაბამისი დეკლარაციის პროექტი;

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ითვალისწინებს დათქმების გაკეთების შესაძლებლობას. შესაბამისად, სასურველია, კომპეტენტურმა უწყებამ განიხილოს ხსენებული დათქმების გაკეთების მიზანშეწონილობა და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, წარმოადგინოს შესაბამისი დათქმების პროექტები. გასათვალისწინებელია, რომ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ხსენებული დათქმები თან უნდა დაერთოს სარატიფიკაციო ან შეერთების სიგელებს;

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველო არ არის ხელშეკრულების რეგულაციების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „iii" ქვეპუნქტში მითითებული „სამრეწველო დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის დადგენის შესახებ" ლოკარნოს ხელშეკრულების მხარე სახელმწიფო;

მიზანშეწონილია, რომ ხელშეკრულებისა და რეგულაციების ქართულენოვანი თარგმანები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ინგლისურენოვან ტექსტებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი ხელშეკრულებისა და მისი რეგულაციების დადება.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0108 თბილისი, სულხან-საბას ქუჩა №1/გიორგი ლეონიძის ქუჩა №3-5; საქართველო. ტელ: (+99532) 294 50 00
ელფოსტა: : mfageo@mfa.gov.ge; www.mfa.gov.ge

იუსტიციის
სამინისტრო

ვახტანგ გორგასლის ქუჩა № 24ა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 405 087
info@justice.gov.ge

02 / აპრილი / 2026 წ.

KA010139143935426

№ 3894

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2026 წლის 17 მარტის №01/8207 წერილით წარმოდგენილი „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულება (შემდგომ - „ხელშეკრულება“) შესაბამის რეგულაციებთან ერთად, რომლებთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი ხელშეკრულება ადგენს სამრეწველო დიზაინის განაცხადის წარმოდგენა-განხილვასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და ფორმალობებს, რომლებიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მეტად ხელმისაწვდომ და პროგნოზირებად პირობებში ნამუშევრების დაცვას, როგორც შიდა ბაზარზე, ისე საზღვრებს გარეთ. აღნიშნული ხელშეკრულება დიზაინერებისა და მეწარმეებისათვის ითვალისწინებს შესაძლებლობას, უფრო მარტივად და ნაკლები პროცედურული ბარიერების პირობებში დაიცვან თავიანთი ნამუშევრები. კერძოდ, წინამდებარე ხელშეკრულება ადგენს იმ მინიმალურ, ერთიან სტანდარტებს, რომლებიც ზრდის სამართლებრივი დაცვის პროგნოზირებადობას, ამცირებს ფორმალობებთან დაკავშირებულ რისკებს და უზრუნველყოფს განაცხადის წარდგენის პროცესის მეტ მოქნილობას.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში დიზაინის შექმნასთან, რეგისტრაციასთან, გამოყენებასთან, სამართლებრივ დაცვასა და უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონი და სსიპ „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 14 დეკემბრის №03 ბრძანებით დამტკიცებული „დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე“ ინსტრუქცია (შემდგომ - „ინსტრუქცია“). უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობა, ძირითადად, შესაბამისობაშია ხელშეკრულებითა და შესაბამისი რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებთან, თუმცა, შესაძლოა, გარკვეული სახის საკითხები სრულყოფილად არ იყოს განსაზღვრული. კერძოდ, მართალია, წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლი (General Principles) სახელმწიფოს ანიჭებს უფლებას შეინარჩუნოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მიდგომები იმ საკითხებში, რომლებიც ხელშეკრულებით არ არის მკაცრად განსაზღვრული და, მათ შორის, ითვალისწინებს გარკვეულ დებულებებთან მიმართებით დათქმის გაკეთების შესაძლებლობას (მუხლი 31 – „Reservations”), თუმცა, ასევე, განსაზღვრავს სავალდებულო მოთხოვნებსა და გაუმჯობესებულ პირობებს, რომელთა კანონმდებლობის ფარგლებში ინტეგრირება უზრუნველყოფს სამრეწველო დიზაინთან დაკავშირებულ უფრო ხელსაყრელ და საერთაშორისო მასშტაბით ერთგვაროვან მოწესრიგებას. ამდენად, მიზანშეწონილია, ხელშეკრულების ტექსტის სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებითა და მასში მოცემული როგორც სავალდებულო მოთხოვნების, ისე გაუმჯობესებული პირობების მხედველობაში მიღებით, საქართველოში ინდუსტრიული დიზაინის განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური უწყებების მიერ, დამატებით შეფასდეს ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში რელევანტური ცვლილებების/დამატებების (მათ შორის, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით) განხორციელების საჭიროება.

ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, წინამდებარე ხელშეკრულებისა და შესაბამის რეგულაციებთან მიმართებით გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. ინსტრუქციის 4[1] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხოელი განმცხადებელი, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია საქპატენტის მოთხოვნიდან *15 დღის ვადაში* დანიშნოს წარმომადგენლად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება მისთვის განკუთვნილი ყველა საბუთი. აღნიშნულთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტისა და რეგულაციების მე-4 წესის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, უცხოელ განმცხადებელს წარმომადგენლის დასანიშნად უნდა მიეცეს არანაკლებ *ორ თვემდე* პერიოდი შეტყობინების თარიღიდან.

2. ინსტრუქციის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, განმცხადებელს შეუძლია გააუქმოს გამოქვეყნების გადადება და მოითხოვოს დიზაინის გამოქვეყნება არა უგვიანეს *3 თვით ადრე* გამოქვეყნების ვადის ამოწურვამდე. ზემოაღნიშნულთან მიმართებით, რეკომენდებულია, მხედველობაში იქნეს მიღებული ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესი, რომლის მიხედვითაც, განმცხადებელს ან მფლობელს, გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლია, სამრეწველო დიზაინის გამოუქვეყნებლად დატოვებისათვის განსაზღვრული ვადის *ნებისმიერ დროს* მოითხოვოს სამრეწველო დიზაინის გამოქვეყნება.

3. ხელშეკრულების მე-15 მუხლი განმცხადებელს ან/და მფლობელს ანიჭებს უფლებამოსილებას, პროცედურული ქმედების წარმოებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში, აღიდგინოს განაცხადთან ან რეგისტრაციასთან დაკავშირებული უფლებები. აღნიშნულთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ, მართალია, როგორც „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, ისე ინსტრუქციის 23-ე მუხლი ითვალისწინებს ვადის დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული დაკარგული უფლებების აღდგენის მექანიზმს, თუმცა, შესაძლოა, იგი სრულყოფილად არ ფარავდეს ხელშეკრულების მე-15 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, ზემოაღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის (iv) ქვეპუნქტი უფლებების აღდგენას უკავშირებს წევრ სახელმწიფოში დიზაინის განხილვაზე პასუხისმგებელი უწყების დასკვნას, რომ ვადა დაირღვა სათანადო ზომების მიღების მიუხედავად ან უნებლიეთ. ამდენად, მიზანშეწონილია, კომპეტენტური უწყებების მიერ დამატებით იქნეს განხილული აღნიშნული მექანიზმის კანონმდებლობის ფარგლებში იმპლემენტაციის საკითხი.

4. ხელშეკრულების მე-16 მუხლთან მიმართებით შევნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ინსტრუქციის მე-13 მუხლები ითვალისწინებს პრიორიტეტით სარგებლობის შესაძლებლობას, დამატებით მოწესრიგებას საჭიროებს პრიორიტეტის მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, ხელშეკრულების მე-16 მუხლი და რეგულაციების მე-12 წესი ერთმანეთისგან განასხვავებს, ერთი მხრივ, პრიორიტეტის მოთხოვნის შესწორებას ან დამატებას და, მეორე მხრივ, პრიორიტეტის უფლების აღდგენის ინსტიტუტს. ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობისა და უკეთესი სამართლებრივი/უფლებრივი პირობების უზრუნველყოფის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, დამატებით შეფასდეს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში შესაძლო მოდიფიცირების საჭიროების საკითხი.

5. ხელშეკრულების ქართულენოვან ტექსტში არსებული ტერმინები - „რატიფიკაცია“ და „მიერთება“, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მიზანშეწონილია, შეიცვალოს კანონმდებლობით განსაზღვრული ტერმინებით - „რატიფიცირება“ და „შეერთება“.

6. ამასთან, ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების პროცედურულ ნაწილთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელშეკრულების 29-ე მუხლის მე-2 (ii) პუნქტით გათვალისწინებული დანაწესი, ასევე, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც იმ საერთაშორისო ხელშეკრულების გარდა, რომელიც ითვალისწინებს რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება ან მასთან შეერთება, რომელიც მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების მიღებას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ბექა ძამაშვილი

ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

26 მარტი 2026

N 08-03/21463

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი 2026 წლის 17 მარტის № 01/8207 წერილით წარმოდგენილი „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულებისა და „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულების რეგულაცია და გაცნობებთ, რომ ხელშეკრულებისა და რეგულაციის პროექტთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

გიორგი თინიკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
იურიდიული დეპარტამენტი

https://edoc.mof.ge/public/#/21463-08-03-2-202603261423

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ზ. გამსახურდიას სანაპირო №1
0108 თბილისი, საქართველო
+995 32 299 11 11
ministry@moesd.gov.ge

05 / მაისი / 2026 წ.

KA020183670799026

№ 07/3025

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი 2026 წლის 21 აპრილის № 01/12303 წერილის პასუხად, რომლითაც წარმოდგენილია „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულებისა და „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულების რეგულაციების თაობაზე დაინტერესებული უწყებების დასკვნები, შემდგომი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელების მიზნით, გიგზავნით აღნიშნული ხელშეკრულებისა და მისი რეგულაციების ტექსტებს ინგლისურ ენაზე, მათ ოფიციალურად დამოწმებულ ქართულენოვან თარგმანებს, განმარტებით ბარათს, შეთანხმების ფურცელს და პროექტის ტექსტზე საქართველოს შესაბამისი უწყებების დასკვნებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულებისა და „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულების რეგულაციებთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს სავალდებულოდ აღიარების მიზნებისათვის საქართველოს პარლამენტში წარადგენს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი ვახტანგ ბაჩიაშვილი.

დანართი: 118 ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენადი არველაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

№ 2243

04/05/2026

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს
ბატონ გენადი არველაძეს

ბატონო გენადი,

2026 წლის 30 აპრილის თქვენი №07/2873 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრმა - „საქპატენტმა“ განიხილა „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულებისა და „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულების რეგულაციების თაობაზე, დაინტერესებული უწყებების მიერ წარმოდგენილი დასკვნები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით უწყებების შენიშვნების შესაბამისად მომზადებულ შეთანხმების ფურცელს, აგრეთვე, ხელშეკრულებისა და რეგულაციების ოფიციალურად დამოწმებულ ქართულენოვან თარგმანს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულებისა და „დიზაინის სამართლის შესახებ“ რიადის ხელშეკრულების რეგულაციებთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გაგვაჩნია.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს სავალდებულოდ აღიარების მიზნებისათვის საქართველოს პარლამენტში წარადგენს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი ვახტანგ ბაჩიაშვილი.

დანართი: 72 გვერდი.

პატივისცემით,

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“
თავმჯდომარე

გიორგაძე სოსო